სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2017 წლის 30 მაისის ბრძანება №102/01–01** საფუძველზე კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრა: **ტექნიკური ინფორმატიკა** გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2017 წლის 7 ივნისის დადგენილება №65/2017** მე–3 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი N1

ქ. თბილისი

„21" ივლისი, 2017 წ.
13:00

სხდომას კომისიის 4 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი: 1. კობა გელაშვილი (კომისიის თავმჯდომარე); 2. მანანა ხაჩიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ირინა ხუციშვილი (კომისიის მდივანი); 4. ბიძინა მიდოდაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრა: **ტექნიკური ინფორმატიკა** ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ კობა გელაშვილის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. კონკურსის პირველ ეტაპთან დაკავშირებით მან მან აღნიშნა, რომ :

1. კონკურსანტმა ლელა მირცხულავამ I კატეგორიაში: „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს". II კატეგორიაში: „პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" წარმოდგენილი 6 საბაკალავრო და 3 სამაგისტრო კურსი არის კომპიუტერული მეცნიერების სასწავლო გეგმაში. ამჟამად მის მიერ იკითხება 3 საბაკალავრო და 3 სამაგისტრო კურსი. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, მის მიერ II კატეგორიაში მიღებულია მაღალი შეფასება. III კატეგორიაში: „სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა", მის მიერ წარმოდგენილია 20 სამეცნიერო პუბლიკაცია. ბოლო 6 წლის განმავლობაში: გაკეთებული აქვს 14 მოხსენება სამეცნიერო კონფერენციებზე, მონაწილობა მიიღო 2 საგრანტო პროექტში. თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. მის მიერ წარმოდგენილ კონცეფციაში ასახული კვლევების მიმართულებები შეესაბამება ტექნიკური ინფორმატიკის კათედრის პროფილს. საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის მაღალი. IV კატეგორიაში მის მიერ აღწერილია ბოლო 6 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები: სტუდენტთა საბაკალავრო და

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა და სხვა. საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის მაღალი.

2. კონკურსანტმა ირაკლი ქარდავამ I კატეგორიაში: „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს". II კატეგორიაში: „პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" წარმოდგენილია 3 საბაკალავრო და 1 სამაგისტრო კურსი. მათ შორის მხოლოდ ერთი არის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრის პროფილის. სილაბუსების შინაარსი და ფორმა ნაწილობრივ შეესაბამება თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს. მის მიერ II კატეგორიაში მიღებულია საშუალო შეფასება. III კატეგორიაში: „სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა", მის მიერ წარმოდგენილია 8 სამეცნიერო პუბლიკაცია. მათ შორის ერთი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, თუმცა არადარგობრივში. მას ბოლო 6 წლის განმავლობაში: გაკეთებული აქვს 10 მოხსენება სამეცნიერო კონფერენციებზე, მონაწილობა მიიღო 2 საგრანტო პროექტში. თანამშრომლობს უცხოურ სამეცნიერო ცენტრთან. მის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია რამდენადმე ბუნდოვანია. საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის საშუალო. IV კატეგორიაში მის მიერ აღწერილია ბოლო 6 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები. საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის საშუალო.

კონკურსის მეორე ეტაპთან, გასაუბრებასთან დაკავშირებით პროფესორმა კობა გელაშვილმა აღნიშნა, რომ :

1. გასაუბრების შედეგების მიხედვით დადასტურდა, ლელა მირცხულავას კანდიდატურა შესაბამისობაშია კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრა: ტექნიკური ინფორმატიკა არსებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანსიასთან.
2. ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე მოწვეული პრეტენდენტი ირაკლი ქარდავა გასაუბრებაზე არ გამოცხადდა. დადგენილება N118/2014-ის მუხლი 7 პუნქტი 2-ის თანახმად, კომისიას გააჩნდა უფლებამოსილება, რომ დადგენილ დროზე მეტით დაგვიანების შემთხვევაში პრეტენდენტთან გასაუბრება ჩაატაროს მხოლოდ იმავე დღეს. კომისია სამუშაო დღის ბოლომდე სრული შემადგენლობით ელოდა პრეტენდენტის გამოცხადებას. რადგან პრეტენდენტი მაინც არ გამოცხადდა, ამიტომ იმავე დადგენილების იმავე მუხლის პუქტი 9-ის ძალით, პრეტენდენტის გამოუცხადებლობა გახდა მისი კონკურსიდან მოხსნის საფუძველი.

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრა: **ტექნიკური ინფორმატიკა** ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულებად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

ლელა მირცხულავა – ასოცირებული პროფესორი;

მოისმინეს: კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად ერთხმად

დაადგინა: შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე, პროფ. / კობა გელაშვილი /

კომისიის წევრები:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფ. / მანანა ხაჩიძე /

კომისიის წევრი, ასოც. პროფ. / ბიძინა მიდოდაშვილი /

კომისიის მდივანი, ასოც. პროფ. / ირინა ხუციშვილი /